მონაცემები პროდუქტის მიმწოდებლის შესახებ

შპს სმარტ ინოვაცია, ს/ნ 405407581, რეგისტრირებული მისამართი 14ბ ნუცუბიძის ქ. თბილისი, საქართველო

მარეგისტრირებელი ორგანო: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ელექტრონული ფოსტა: info@smtinnovations.com

პროდუქტის თაობაზე

ქართველი მხატვრის ირაკლი ფარჯიანის ხელნაწერი და ილუსტრირებული მარკოზისა და იოანეს სახარების ფაქსიმილე ბეჭდური გამოცემა

პროდუქტის ფიზიკური მონაცემების თაოაბაზე

მარკოზის სახარება:

შიდა გვერდების რაოდენობა 148

შიდა გვერდების ზომა 17,5*24 cm

ხელოვნური ტყავით დაფარული მყარი გარეკანი, ყდაზე ოქროს პიგმენტით ტვიფრი, მოოქროვილი კიდეები, ოქროს თვიფრი ერთ გვერდზე

წიგნი მოთავსებულია ყუთში მაგნიტური სახურავით. ყუთი დაფარულია იმავე მასალით, რომელიც გამოიყენებულია წიგნის ყდაზე და აქვს ოქროს ტვიფრი

იოანაეს სახარება:

შიდა გვერდების რაოდენობა 116

შიდა გვერდების ზომა 29,7*41,2 cm

ხელოვნური ტყავით დაფარული მყარი გარეკანი, ყდაზე ვერცხლის პიგმენტით ტვიფრი, მოვერცხლილი კიდეები, ოქროს ტვიფრი ერთ გვერდზე

წიგნი მოთავსებულია ყუთში მაგნიტური სახურავით. ყუთი დაფარულია იმავე მასალით, რომელიც გამოიყენებულია წიგნის ყდაზე და აქვს ვერცხლის ტვიფრი

პროდუქტის უფლებრივი მდგომარეობის თაობაზე

შპს სმარტ ინოვაციას გააჩნია ყველა უფლება პროდუქტის ბეჭვდასა და გავრცელებაზე თანახმად 2022 წლის 01 ნოემებრის განსაკუთრებული სალიცენზიო ხელშეკრულებისა

პროდუქტის მიწოდების პირობები

პროდუქტის მიწოდება განხორციელდება შემძენის მხრიდან პროდუქტის ღირებულების სრულად გადახდიდან ორი კვირის ვადაში

პროდუქტის ღირებულების გადახდად ჩაითვლება შპს სმარტ ინოვაციის საბანკო ანგარიშზე უშუალოდ შემძენის მხრიდან თანხის ჩარიცხვა ან იმავე ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა პარტნიორი საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც ჩართულია პროდუქტის განვადებით შეძენის პროგრამაში

პროდუქტის მიწოდება განხორციელდება კომპანიის მიერ მითითებულ მისამართზე, რომელიც დაფიქსირებული იქნება ინვოისში. შემძენი შესაბამის შეტყობინებას მიიღებს ელექტრონულ ფოსტაზე ან სატელეფონო შეტყობინებით, რის შემდეგაც იგი ვალდებულია პირადად ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მეშვეობით გამოცხადდეს შეთანხებულ მისამართზე და ჩაიბაროს პროდუქტი.

შეთანხებულ დროს კომპანიის მიერ მითითებულ მისამართზე გამოუცხადებლობის შემთხევაში შპს სმარტ ინოვაცია უფლებამოსილია (და არაა ვალდებული) პროდუქტის შემძენს გაუგზავნოს მის მიერ განაცხადში დაფიქსირებულ მისამართზე. ამასთან შემძენი წინასწარ თავად აანაზღაურებს საფოსტო გზავნილის ყველა ხარჯს, რის თაობაზეც მას მიეწოდება დამატებითი ინვოისი.

ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით პროდუქტის შპს სმარტ ინოვაციის მისამართზე გადაცემა წარმოადგენს პრიორიტეტულ ვარიანტს, ხოლო შემძენის მისამართზე გაგზავნა მხოლოდ ალტერნატიულს რომლის განხორციელება დამოკიდებულია მხოლოდ მიმწოდებლის ნებაზე.

შემძენი ვალდებულია პროდუქტის გადაცემისთანავე დაადასტუროს მისი მიღება კომპანიის მიერ მიწოდებული საბუღალტრო ან/და იურიდიულ დოკუმენტზე ხელმოწერის გზით, ხოლოპროდუქტის განვადებით შეძენის პირობებში შემძენი ვალდებულია დამატებით დაადასტუროს პროდუქტის მიღება შესაბამისი საბანკო დაწესებულების მიერ მოთხოვნილ ფორმატში.

შემძენი ვალდებულია უზრუნველყოს განაცხადში მითითებული მისამართის ფუნქციონირება იმ სახით რომ იქ შესაძლებელი იყოს გზავნილის ჩაბარება ორშაბათიდან - შაბათის ჩათვლით 10.00 სთ - 18.00 საათამდე

განაცხადში დაფიქსირებული მისამართის ცვლილების ან/და მისამართზე არაუფლებამოსილი პირის მიერ გზავნილს ჩაბარებაზე მთელი პასუხისმგებლობა (რისკები) ეკისრება შემძენს

პროდუქტის შემძენზე ჩაბარებად ჩაითვლება განაცხადში დაფიქსირებულ მისამართზე ნებისმიერ სრულწლოვან პირზე გზავნილის გადაცემა

პროდუქტის ჩაუბარებლობის შემთხვევაში, რაც დაკავშირებული იქნება განაცხადში დაფისირებული მისამართის უზუსტობასთან ან მისამართზე შესაბამისი უფლებამოსილი პირის არყოფნასთან პროდუქტი უბრუნდება მიმწოდებელს

დაბრუნებული პროდუქტის მიწოდების ფორმაზე მხარეები შეთანხმდებიან დამატებით ამასთან დამატებით მიწოდებაზე ყველა ხარჯი მათ შორის პროდუქტის დაბრუნებაზე გაწეული/გასაწევი ხარჯები წინასწარ დამატებით უნდა ანაზღაურდეს შემძენის მიერ

პროდუქტის მიღებიდან 5 დღის განმავლობაში შემძენი უფლებამოსილია მხოლოდ წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს პროდუქტის ნაკლის თაობაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რასაც უნდა დაურთოს შესაბამისი ფოტო ან/და ვიდეო მასალა. ამ ვადის გასვლის შემდეგ მსგავსი პრეტენზიები არ მიიღება

შემძენის ვალდებულება:

გადაიხადოს პროდუქტის ღირებულება

მიიღოს პროდუქტი

უპასუხოს მიწოდებლის შეტყობინებებს გონივრულ ვადაში მაგრამ არაუგვიანეს მათი მიღებიდან 48 საათში

არ განახორციელოს პროდუქტის კოპირება, ასლის დამზადება ან/და გავრცელება იქნება ეს რაიმე სახის მატერიალურ თუ ელექტრონულ მატარებელზეთუ ვიზუალიზაციის სხვა ფორმით.

ფორს - მაჟორული გარემოებები

შესაბამისი მხარე თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედებით;

წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება: საომარი მოქმედებები, სტიქიური უბედურება, სამოქალაქო დაპირისპირება, ტექნოლოგიური ან ეკოლოგიური კატასტოფა, მთავრობის გადაწყვეტილებები ან სასამართლო აქტები ან ნებისმიერი სხვა ისეთი გარემოება, რომელიც წარმოიშვა მხარის ნებისაგან დამოუკიდებლად და შეუძლებელს ხდის ან/და არაგონივრულად აძნელებსმხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

მხარე, რომელიც ფორს-მაჟორული გარემოების გამოვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ვალდებულია აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს წერილობით, ფორს-მაჟორული გარემოების წარმოშობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 10 დღისა ასეთი გარემოების წარმოშობის მომენტიდან;

ფორს მაჟორული გარემოებების არსებობა მხარეს არ ათავისუფლებს ვალდებულების შესრულებისაგან. ამასთან თუ ასეთი გარემობები გაგრძელდა ერთი თვის განმვალობაში მხარეები ხელშეკრულების პირობებს შეუსაბამებენ შეცვლილ გარემოებებს ან მიიღებენ გადაწყვეტილებას ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

კონფიდენციალობა

ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მიმწოდებელთან ან/და შემძენთან და რომელიც მათ გაიგესწინამდებარე წესებში ასახული პროდუქტის შეკვეთის/შეძენის ან მიწოდების დროს არის კონფიდენციალური და იგიარ შეიძლება გადაეცეს მესამე პირებს სრულად ან ნაწილობრივ შესაბამისი მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე. გარდა:

- თუის ცნობილი იყო მხარისათვის შეკვეთის გაფორმებამდე, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით.
- რომლის მესამე პირისათვის გადაცემაც სავალდებულოა კანონმდებლობით.

ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემძენის დამატებითი თანხმობის გარეშე, შემძენის შესახებ მის ხელთ არსებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია გადასცეს მესამე პირს, თუ აღნიშნული გადაცემა აუცილებელია მიმწოდებლი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, შემძენისმიმართ არსებული რაიმე სახის მოთხოვნის მესამე პირისათვის დასათმობად (მათ შორის აღნიშნულ მესამე პირთან მოლაპარაკების პროცესში) ან/დაშემძენის ვალდებულებების შესრულების მონიტორინგის მიზნით.

ტერმინი კონფიდენციალური ინფორმაცია მოიცავს ყველა სახის ნოუ-ჰაუს, ტექნიკურ დოკუმენტაციას და მიმწოდებლის ბიზნეს დაინტერესების სხვა ინფორმაციას, მათ შორის და არამხოლოდ: (ინფორმაციასსაკუთრებისუფლებისშესახებ;მომხმარებლის შესახებ ინფორმაციას; სავაჭროსაიდუმლოებას;პოლიტიკებს, პროცესებს, ტექნოლოგიებს და შესაბამის დოკუმენტაციას; მონაცემებს და მონაცემთა სანახს სისტემებს; ბიზნეს გეგმას და ინფორმაცია ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ; ბიზნეს თანამშრომლობის/ პარტნიორების შესახებ ინფორმაციას; ნებისმიერიფინანსურ და კომერციულ ინფორმაციას; პროდუქტს, პროდუქტის მახასიათებლებს, სერვისებს და სხვა ნებისმიერ ნოუ-ჰაუს დაკავშირებული მიმწოდებელთან და/ან მის კლიენტებთან).

კომუნიკაციის შესახებ:

მხარეებს შორის კომუნიკაცია განხორციელდება მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხოლოდ ელექტრონულ ფოსტაზე, რომელიც მითითებულია ერთი მხრივ განაცხადში მეორე მხრივ წინამდებარე წესებში

შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი განაცხადი ითვლება ჩაბარებულად მეორე მხარის მიერ სათანადო დასტურის გარეშეც

მხარე რომელიც ცვლის განაცხადში ან წინამდებარე პირობებში ასახულ ელექტრონული ფოსტის მისამართს ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს აღნიშნულის თაობაზე ასეთი ცვლილების განხორიცლებიდან არაუგვიანეს 5 დღის განმვალობაში, შეუტყობინებლობის შემთხვევაში ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება ითვლება ვალიდურად.

დავათა გადაწყვეტის წესი

ნებისმიერი დავა გადაწყდება მოლაპარაკების გზით;

შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება სასამართლოს გზით საქართველოს მატერიალური და პროცესუალური კანონმდებლობის შესაბამისად.

პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიმწოდებლის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.